ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 150 (20896) — ოთხშაბათი, 27 ივნისი, 1990 წელი. — ფასი 8 კაპ.

განახლებული პარტიის ენერგია — საზოგადოების განახლების საქმეს

მ. ს. გორბაჩოვი უპასუხებს რუსეთის სფსრ კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატთა და მონაწილეთა კითხვებს

სანამ თქვენს წინაშე სიტყვას წარმოვიქვამდე, უწინარეს ყოვლისა უნდა მოგეთათბიროთ. აი, ძალიან საქაღალდე მაქვს და გვერდით კიდევ — კითხვები. მაგრამ ასე მგონია, რომ თქვენ, ალბათ კითხვების თავი აღარა გაქვთ? მაინც კითხვებით დავიწყოთ?

სმები. დიახ.

მ. ს. გორბაჩოვი. კარგით. მაშინ სწორედ ამით ვიწყებ. ძალიან ბევრი კითხვა იყო და აქ გავაერთიანებ ათ-თხუთმეტ კითხვას, რომლებიც იმასთან არის დაკავშირებული, რომ გენერალურმა მდივანმა, რუსეთის ბიუროს თავმჯდომარემ (რომელიც ახლა უკვე აღარ არის), მაინც მისცეს შეფასება ამ ბიუროს მუშაობას.

ვფიქრობ, ამ ბიუროს, მისი მუშაობის შედეგების მთავარი შეფასება ის იქნება, რომ ბოლოს და ბოლოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან და რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად შევქმენით რუსეთის კომპარტია.

როცა გასული წლის დამლეგს ბიურო შევქმენით და მისი სტრუქტურის ფორმირება დავიწყეთ, ორი მდივანი სპეციალურად შევიყვანეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, რომლებიც კურირებს გაუწევდნენ რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებს, ორგანიზაციულ სფეროს, იდეოლოგიურს და ეკონომიკურს. ცენტრალურ კომიტეტში დავიწყეთ ამარაის ორიენტირება, შემობრუნება კონკრეტული მიმართულებით. სანამ ჩვენ ამაზე ვმუშაობდით, დისკუსია რუსეთის პარტორგანიზაციებში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საჭირო იყო პარტიის შექმნა. და ჩვენც ჩავერთეთ ამ პროცესში, არსებობად უკვე ცხადი იყო, რომ მთელი მუშაობა ამას უნდა დაქვემდებარებოდა. ასეთია მოკლედ ბიუროს ისტორია და ბედი. თქვენ აღნიშნეთ, რომ იგი არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა — ეს თქვენი უფლება და თქვენი კომპეტენციაა, არ მოგიწოდებთ დისკუსიებზე ამ საკითხს. მაგრამ მისი ბედი ასეთია.

ვფიქრობ, ამასთან არის დაკავშირებული საკითხთა შემდეგი ჯგუფიც: როგორ მოხდა, მიხეილ სერგის ძეს, რომ თავდაპირველად თითქოსდა საეჭვოს ხდიდით (ამხანაგებმა სადღაც ამოიკითხეს კიდეც, რომ მე რუსეთის კომპარტიის, შექმნის წინააღმდეგ გამოვდიოდი), შემდეგ კი უცბად და მკვეთრად შემობრუნდით და დაადექით რუსეთის კომპარტიის შექმნის სასარგებლო პოზიციის? იცით, თუმცა კომპარტია უკვე შეიქმნა კიდეც, მაგრამ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ღირს მას დავუბრუნდეთ. აქ ბევრი საფუძველია განსჯისათვის, ბევრია საფიქრალი, და ეს მეხსიერებაში უნდა დაგვრჩეს.

რუსეთის კომპარტიის საკითხი ყოველთვის ასე თუ იქნებოდა, ჯერ კიდევ ლენინის დროიდან, ისევე როგორც რუსეთისა და მისი როლის საკითხიც. მაგრამ ახლა, მგონია, საჭირო არ უნდა იყოს ისტორიაზე დაწვრილებით ლაპარაკი. მოკლედ კი ასე შეიძლება ითქვას: ყოველივე ეს დაკავშირებულია რუსეთის ფედერაციისა და რუსეთის ხალხთა განსაკუთრებულ გამაერთიანებელ როლთან, რომელიც მათ შესარულეს ჩვენი ფედერაციის მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნაში. ამიტომ საჭირო იყო ძოგვეფიქრებინა ყველაფერი, რათა ისე არ გამოსულიყო, რომ; ყველაზე საუკეთესო სურვილების გათვალისწინებით, იმ მისწრაფებით, რომ რეაგირება მოგვეხდინა რუსეთის არა მარტო კომუნისტთა, არამედ ყველა მშრომელის წუხილზე, მაინც დავდგომოდით ისეთ გზას, რომელიც იმპულსს მისცემდა ცენტრალურ ძალებს პარტიაშიც და ჩვენს კავშირშიც.

სხვათა შორის, რჩევა-დარიგებანი, რაც შეიძლება მალე დასდგომოდა რუსეთი ამ გზას, მოდიოდა მეტად ბევრი ადგილიდან. როგორც ჩანს, ზოგნი ვარაუდობდნენ, რომ მიეიღებდით ნაჩქარევ, მოუფიქრებელ გადაწყვეტილებებს და ამის შედეგად წარმოიშობოდა დამანგრეველი ტენდენციები, ისარგებლებდნენ სიტუაციით და ხორცს შეასხამდნენ თავიანთ სეპარატისტულ და სხვა ვარაუდებსაც.

აქ პოლიტიკური, სახელმწიფო პრობლემების მთელი კომპლექსია, ისინი ურთიერთდაკავშირებულია. და მაინც, როცა დავიწყეთ ფიქრი ყველამ ერთად, როცა მივედით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ღრმა რეფორმის და რესპუბლიკის რეალურ სუვერენიტეტზე გადასვლის ახალ გზებამდე, ამასთან ცენტრისათვის ამის შენარჩუნებით, რასაც ფედერაციის სუბიექტები ამ ცენტრს გადასცემენ, რადგან ეს ყველა რესპუბლიკის ინტერესებს შეესაბამება, — მაშინ მივხედით, თუ რაოდენ აქტუალური ყოფილა ეს ამოცანა, ცხოვრებამ გვიჩიგა მისკენ. მაშინ სხვაგვარად დავუწყეთ ყურება რუსეთსაც და იმასაც, თუ მაინც რა ორგანონი, რა პოლიტიკური, საზოგადოებრივი ინსტიტუტებია აქ შექმნილი. ბევრი რამ ხომ რუსეთში არ მოქმედებდა. ეს დაკავშირებული იყო საკავშირო სტრუქტურების ფუნქციონირებასთან. არსებითად, ეკონომიკა მნიშვნელოვნწოლად გადიოდა საკავშირო სტრუქტურებზე, პოლიტიკური ინსტიტუტები პრაქტიკულად ყველა გადიოდა კავშირზე, განსაკუთრებით ის, რაც ეხებოდა რუსეთის უმაღლეს ეშელონს, და ბევრ, ბევრ სხვაზე. დავინახეთ, რომ, რაკი ვებმებეოდით ფედერაციის რეფორმირებაში, ხელახლა უნდა გაგვეზრახინა შეხედულებანი რუსეთის მდგომარეობაზეც, იმაზეც, თუ დღეს მას რეალურად რა უნდა ჰქონდეს. ეს პირველი.

მეორე. დაიწყო პარტიის რეფორმირების რეალური პროცესი... იგი მტკივნეულია, ამას ჯერ კიდევ შევეხები, ახლა კი უბრალოდ არ გავაჭიანურებ. დავინახეთ, რომ ყველას აწუხებდა ეს პრობლემა. კომუნისტებსაც და რუსეთელებსაც მოუწიფდათ აზრი, რომ რუსეთის კომპარტიის შექმნას შეეძლო შეესრულებინა თავისი მაკონსოლიდირებელი როლი რუსეთის ფედერაციის პარტიული ორგანიზაციებისათვისაც და მთლიანად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისთვისაც.

თავად მე ამაში ძალიან დიდ აზრს ვხედავ.

და უკანასკნელი. ჩვენ რეალურად შევედით პლურალიზმის პროცესში. უკვე წარმოიქმნება სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი. უკვე არის მომავალ პარტიათა ჩანასახები, ისინი უკვე ახალებენ საქმიანობას, წერენ პროგრამებს, ქმნიან წესდებებს, იკრიბებიან, მსჯელობენ. მაშასადამე, პროცესი „რეალურად დაიძრა. ჩვენ რეალური მრავალპარტიულობის მიჯნაზე ვართ. მაშინ იბადება კითხვა: მაშასადამე, რუსეთში იქნება სხვა პოლიტიკური მიმდინარეობანი, სხვა პარტიები, მაგრამ არ იქნება კომუნისტური პარტია? ამრიგად მოვლენებმა უკვე საზოგადოების გარდაქმნის, განახლების ფარგლებში, ეკონომიკაშიც, პოლიტიკასა და ფედერაციის სფეროშიც მიმდინარე პროცესებმა გვიბიძგეს იმისაკენ, რომ მიგვეღო გამოწვევა, რომელსაც დრო გვაყარნახებს. ამიტომ ვფიქრობ, რომ აქ არავინ თავის დაძვრენას არ აპირებდა — ჩვენ ყველანი ერთად მივიდოდით რუსეთის სფსრ კომპარტიის შექმნის საჭიროების გაგებისაკენ.

ფრიად კმაყოფილი ვარ, რომ აქ, დამფუძნებელ ყრილობაზე, ჩვენ, რუსეთელები, რუსეთის კომუნისტები, დაჯრჩით ინტერნაციონალიზმის, სოციალიზმის იდეალების. ერთგულების, პარტიის, როგორც პოლიტიკური ავანგარდის, შექმნისა და ფუნქციონირებაში ლენინური პრინციპების ერთგულების პოზიციებზე და მტკიცედ განვაცხადეთ, რომ ჩვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში ვრჩებით. აგრეთვე გადავაცხადეთ, რომ ჩვენი რესპუბლიკა, სუვერენიტეტის საკითხებს რომ წყვეტს, რომლებიც ასევე აქტუალური ამოცანა გახდა, აუცილებლად ყოფილიყო კავშირში თანასწორთა შორის თანასწორი, ყველაფერი გაეკეთებინა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ამხანაგებო, ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. და ვფიქრობ, რომ სწორედ ეს არის ყრილობის სიმაღლე, რომელიც აქ გამოვლინდა. მოგესალმებით თქვენ როგორც კომუნისტებს, თქვენი სახით კი რუსეთის ყველა კომუნისტს ასეთი მტკიცე პოზიციისათვის. ეს მეტად მნიშვნელოვანია. (**ტაში**).

ახლა უნდა გამოვუშვა კითხვები „180 გრადუსზე", რომელზეც თითქოს შემეცვალოს შეხედულებანი, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და ა. შ. — ეს ის კითხვებია, რომლებიც ჩემს პასუხში გავაერთიანე. აი, ამხანაგმა გოლკოვმა, კერძოდ, მკითხა, აპრილში რატომ არ ვუჭერდი მხარს რუსეთის კომპარტიის შექმნის იდეას, ახლა კი დავუჭირე მხარი. ჩემი აზრით, მე გაწმვრტე. ბევრი კითხვა იყო ამ თემაზე.

„მტკივნეული" კითხვა მუშებისაგან. ისინი ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ შეიქმნა სიტუაცია, როცა აქ, ყრილობაზე, თითქოს მოწყალეს ვაძლევდით მათ. და გვთხოვეს ამას ნუ ვიზამდით, ნუ მივაცემდით მაგდატებს, ჩაგვეგთანა ისინი მოწვეულებად, მონაწილეებად საბოლოო ხმის უფლებით. მიგვეცა შესაძლებლობა, ასე ვთქვათ, ყოფილიყვნენ ყოველივე იმის თანამონაწილენი, რაც ყრილობაზე ხდება, მაგრამ არ ჩაგვეყენებინა ისინი უბერეულ მდგომარეობაში და არ შეგვექმნა სიძნელენი ყრილობისათვის. არსებითად, რომ ითქვას, სწორედ ასე გადავწყვიტეთ ეს პრობლემა ყრილობის პროცესში.

„ჩვენი კომუნისტების დიდი უმრავლესობის აზრი გენერალური მდივნისა და პრეზიდენტის თანამდებობათა შეთავსების გამო ერთმნიშვნელოვანია. ესე იგი ამხანაგმა გორბაჩოვმა ერთ-ერთს უნდა მოკიდოს ხელი. იყოს პრეზიდენტი. გვინდა ვიცოდეთ. როგორია თავად ამხანაგ გორბაჩოვის პოზიცია ამ საკითხზე? თუ ისე მოხდა, რომ XXVIII ყრილობაზე ავირჩევთ ახალ გენერალურ მდივანს, მაშინ სწორი იქნება, თუ ახლავე დავასახელებთ რამდენიმე გვარს XXVIII ყრილობამდე პერიოდში განხხილვისათვის. გთხოვთ გამოაქვეყნოთ ყრილობაზე და აზრიც გვმოთქვათ". ამხანაგმა ალეხოვმა პრიმიდან, პარტიის სოლიკამსკის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დასვა ასეთი კითხვა.

სიერთოდ ამაზე არაერთხელ მილაპარაკია. მე მგონია, ჩვენ ბუნებრივად უნდა მივიდეთ თანამდებობათა გაყოფამდე. ახლა კი, დარწმუნებული ვარ, უნდა შევინარჩუნოთ სიტუაცია იმ პრინციპული სახით, როგორიც იგი არის — იქნებ, სხვა ფორმებით. მე ხომ ჩემს თავზე არ ვლაპარაკობ. ვლაპარაკობ პრინციპული თვალსაზრისით. რადგან ახლა, იქნებ, მიმდინარეობდეს ყველაზე პასუხსაგები პროცესი. პოლიტიკური ძალების გადაჯგუფება, საბჭოებსა და პარტიას შორის, ცენტრსა და ადგილებს, რესპუბლიკებსა და ცენტრს შორის ფუნქციების განაწილება. ურთულესი პროცესი! და იგი მტკივნეულად მიმდინარეობს. ეს ხომ იგრძნობა ჩვენი ყრილობითაც, აქ რამდენი ვინმეს ინტერესს ვეხებით აქ! ყველაფერი, რაც მოვიმოქმედეთ საბჭოების ხელისუფლების აღორძინებისათვის პოლიტიკური რეფორმის ფარგლებში, როგორ განვახორციელეთ საარჩევნო კამპანიები, ის, თუ რა ხალხი გამოვიდა პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე ამ ახალი არჩევნების მეშვეობით, — ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ მთლიანად სწორ გზას ვადგავართ. ამავე დროს სრულიადაც არ ვუშვებ მხედველობიდან ყველა დანაკარგს, სისუსტეს, ამ საქმის მტკივნეულობას — ყველაფერი ეს არის. მაგრამ ახლა ამაზე როდი ვლაპარაკობ. როგორც ჩანს, საბჭოები ძალას მოიკრებს. ჩვენ მივიღეთ კანონი, რომლის მიხედვით ახლა განისაზღვრება საბჭოების ფუნქციები, კომპეტენცია. გადაწყდა, რომ ადგილობრივი საბჭოები მიიღებენ ანარიცხებს, ექნებათ თავიანთი ბიუჯეტი. ექნებათ უკვე რეალური მატერიალური შესაძლებლობები, და მარტო დადგენილებების მიღებას არ დასჯერდებიან. საბჭოების გაძლიერების პროცესი ქვემოდან ზემოთ წარიმართება. და ჩვენი საბალხო ხელისუფლება ნამდვილად საზოგადოების განახლების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იქნება.

მაგრამ დღეს ხომ სხვა რამეც რეალობაა. ეს, რომ პარტია დღეს ყველაზე მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციაა საზოგადოებაში, და იმის კვალობაზე, თუ როგორი იქნება პარტიის პოზიცია, მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ეკეკუანაში კადრების, პოლიტიკური ძალების ფუნქციების განაწილებისა და განაწილების, გადაჯგუფების პროცესი. ამაზე დიდად არის დამოკიდებული, წარიმართება თუ არა პროცესი ნორმალურად, გარდაქმნის სულისკვეთებით, გამბედაობა პოზიციური ტენდენციები თუ წარმოიქმნება კონფრონტაცია.

ვფიქრობ, კონფრონტაციის ელემენტები ამ ყრილობაზეც შეინიშნებოდა. მაგრამ ამავე დროს აქ იყო გაგება იმისა, რაც ხდება, თანაც პარალელურად მუშაობს რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობაც. რუსეთის კომპარტიის ყრილობა რუსეთის კომუნისტების, ყველა რუსეთელის პარტიის წარმოადგენს. და ჩვენც ამ თვალსაზრისით უნდა ვიფიქროთ ერთობლივ ძალისხმევაზე, ძალების გაერთიანებაზე. თითოეულმა შეგასრულოთ ჩვენი როლი ფუნქციების იმ განაწილების საფუძველზე, რომელიც გადაწყვიტეთ, ამასთან პოზიტიურად მივიღოთ მონაწილეობა პროცესში, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა.

პარტიისა და საბჭოების შორის ფუნქციების განაწილების პროცესი, დამეთანხმებით, ჯერჯერობით მართლაც არ დამთავრებულა. სიტუაციის პროეცირება შეიძლება მთელ ქვეყანაზეც. სასარგებლოა თუ არა ახლა პოსტების განაწილება, თუ ჯერჯერობით, ამ გარდამავალ პერიოდში, უნდა შევინარჩუნოთ შეთავსება? მიმაჩნია, რომ ჯერჯერობით უნდა შევინარჩუნოთ. როგორი ფორმით — პარტიის თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე და მოადგილე, პარტიის თავმჯდომარე და გენერალური მდივანი და ა. შ., ეს უკვე სხვა საქმეა.

ვხედავ, ამხანაგები უკმაყოფილნი არიან იმით — ამასთან დაკავშირებით ბევრი კრიტიკული შენიშვნაც არის, — რომ თავი იჩინა სისუსტემ პასუხსაგებ ეტაპზე, როცა პარტია ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში, — ეს ბუნებრივი და ალბათ, — ეს ასევე ბუნებრივია, — ეს ასევე ბუნებრივია, — ეს ასევე ბუნებრივია

განახლებული პარტიის ენერგია – საზოგადოების განახლების საქმეში

(დასასრული)

ეს ხომ ის პოლიტბიუროა, რომელიც გარდაქმნის ახორციელებს. მან, რა თქმა უნდა, შეცდომებიც დაუშვა, ამაზეც ვიტყვი, მაგრამ როცა მესმის ისეთი კრიტიკა, რომ ისღა დარჩა, რომელიმე ორატორმა თქვას, „ყველთან მიაყენეთო!“ — რადგან ყველაფერი დანარჩენი უკვე ითქვა, — მე, უნდა გითხრათ, უნდა დავიცვა. დავიცვა, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენს ყრილობაზე, პარტიულ წრეში იყო დაყენებითი მოთხოვნა, იყო შესაბამისი შეფასებებიც, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუბრუნდეთ ისეთ, რასაც უარვყოფთ. დაცვა საჭიროა ამისთვისაც, და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია.

ვფიქრობ, ყრილობა შეძლებს, ყველაფერი ღირსეულად შეაფასოს და დასკვნებიც გამოიტანოს. ალბათ მოხდება ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის სერიოზული განახლება, დაწინაურდებიან ახალი ძალები. მაგრამ გარწმუნებთ: ახლანდელ პოლიტბიუროში არ არიან ადამიანები, რომლებისთვისაც საკუთარი ტყავის პოზიცია, ასე ვთქვათ, რაღაც პირადი კომფორტები და კიდევ რაღაც სხვა, მნიშვნელოვანი იყოს. არა. ჩვენთვის ყველასათვის მთავარია, რომ საქმე, რომელსაც ახორციელებს სწორედ ეს პოლიტბიურო, რომელიც სწორედ დღეს მუშაობს, გაგრძელდეს. რომ ეს საქმე დაცული იყოს მერყეობის, შეცდომების, ხარვეზებისაგან და ახალი სული შთაგბეროთ. აი, მთავარი საზრუნავი ყველისი, ვინც შედის დღეს ხელმძღვანელობაში. ამიტომ, მოდით, პარტიულად ვიმოქმედოთ. ყველაფერი, რაც გასაკეთებელია ყრილობაზე, უნდა გაკეთდეს. შეგიძლიათ იმედი იქონიონთ, რომ ჩვენ ხმას მივცემთ, სახელობითაც კი მივცემთ ხმას, თუ იქნება კენჭისყრა. ჰუმანი არ იქნება. როგორც სჭირდება პარტიას, სწორედ ისე უნდა გაკეთდეს. აქ არ შეიძლება იყოს რაიმე საეჭვო და არც უნდა იყოს.

მაშ, ასე, იმ საკითხზე ჩემი აზრი გამოვთქვი. მეორე ნაწილია კანდიდატურების დასახელება. აქ კი არ ვიცი. შეიძლება ერთი სხდომა მივუძღვნათ აქ კანდიდატურების დასახელებას. მაგრამ იქნებ რუსეთელებისათვის უხერხული იყოს, რომ ავიღოთ და დავიწყოთ დასახელება.

თუ განწყობილი ხართ, თქვენი აზრი გამოთქვათ, მე მგონი წინადადებები უკვე დაიწყო, მართლაც შეიძლება ერთი სხდომა მივუძღვნათ ამას, დავასახელოთ, ვთქვათ, ვინ წამოვაყენეთ. არა ვარ წინააღმდეგი.

ამხანაგების გრიგორიევის, გაზიზოვის კითხვა— თათრეთის პარტიზანი ორგანიზაცია. „პარტიის ავტორიტეტის შელახვის შესახებ თეზისი არ არის ზუსტი. შეილახა არა პარტიის, არამედ ყველა დონის პარტიული კომიტეტებისა და მათი ხელმძღვანელების ავტორიტეტი. როგორია ამ სიტუაციიდან თავის დაღწევის გზები? იქნებ პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობის დაჩქარებული განახლების, მათ შორის ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს სრული განახლების გზას დავადგეთ?“.

აქ კიდევ არის წერილი ამ თემაზე. უნდა ითქვას, რომ ეს არის ის საკითხი, რომელსაც ძირითადი მნიშვნელობა აქვს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი ხომ მნიშვნელოვანწილად კადრების დონეზე, მათი ინტელექტუალური პოტენციალით განისაზღვრება. ნებისმიერი სტრუქტურა, ყველაზე სრულყოფილი სტრუქტურაც კი ვერაფერს ვერ მოგვცემს, თუ მოვიდნენ ადამიანები, რომლებსაც არ შესწევთ უნარი იაზროვნონ თანამედროვედ, აღიქვან ცხოვრების იმპულსები, გაიერთიანონ ადამიანები, მივიდნენ მათთან, ესმოდეთ რეალობანი და ანალიზის საფუძველზე ააგონ პოლიტიკა, წარმართონ პრაქტიკული მუშაობა, — ასეთ შემთხვევაში ყველაზე სრულყოფილი სტრუქტურაც ვერაფერს მოგვცემს. ეს ყველაფერი ერთმანეთთან უნდა იყოს შერწყმული. მთავარი ელემენტი კი ყოველთვის კადრებია.

რატომ ხდება ჩვენში ისე, რომ ძველი, მბრძანებლური სისტემის დროს იყო შესანიშნავი საწარმოები—და არის, იყო შესანიშნავი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები — და არის, ქალაქები კი? მოდიოდნენ მასშტაბურად მოაზროვნე ადამიანები და მეტი არაფერი. სწორედ ისინი ამგვარდნენ დაბრკოლებებს, ყველაფერს სძლევდნენ, მნიშვნელოვანწილად ეს არის მთავარი.

როცა ნორილსკში მეტალურგიულ კომბინატს ვეწვიე, შემომეხვეწენ მეტალურგები და მითხრეს: „მიხეილ სერგის ძევ, გეაცით გაწკარგულება შეგუტიოთ შტაბებს“. ეს იმიტომ გამახსენდა, რომ აქ არის წერილი, რომელიც შემახსენებს: სადღაც იყავით და თქვით ქვემოდან მიაწერეთ, ქვემოდან მიაწერეთო. ახლა კი, მეუბნებიან, გვიპასუხეთ, რისი გაკეთება გსურთ, რისთვის მოგვიწოდებთო? საუბარი გულახდილი გვაქვს და გუპასუხებ: მიმაჩნია რა თქმა უნდა, ამხანაგებო რომ პარტიაში უნდა აღვადგინოთ კადრების განაწილების ნორმალური, დემოკრატიული პროცესი. იგი დაიწყო. ვფიქრობ, ვისაც იმის იმედი აქვს, რომ მხოლოდ კადრების შეცვლით შეიძლება ყველაფრის ერთბაშად გადაწყვეტა, ცდება. რატომ? ჩვენ უნდა გარდაქმნის ქვაბში ვიმოგზაურნოთ, სანამ მოვიშორებდეთ სტერეოტიპებს, დრომოჭმულ გამოცდილებას, მიდგომებს და ა. შ.

ჩვენ უნდა გაგვევლო ეს დემოკრატიული არჩევნები. და თუ პირველ არჩევნებში პარტიელები სანგრებში ისხდნენ, ბოლო არჩევნებში „ხელჩართულ“ ბრძოლაში ჩაებნენ: მიტინგებზეც, ყველგან. სათქმელიც ჰქონდათ.

მაშასადამე, ჩვენ ვიცვლებით. და უბრალოდ მექანიკური შეცვლა პანacეა როდია. ჩვენში ზოგან არის რაიკომები და საოლქო კომიტეტები, სადაც უკვე მესამეჯერ გადაიარა შეცვლის ტალღამ, საქმე კი არ იცვლება. არადა, არის ასეთი რამეც: მაშინვე, ჯერ კიდევ გარდაქმნის დამდეგს მოვიდა ახალი კაცი, თანამედროვე კაცი, აღიქვა ახალი იდეები და ეფექტიანად მოქმედებს. ასეთი ადამიანები დღესაც წარმატებით მუშაობენ, მათ მხარს უჭერენ, არ უშვებენ კომუნისტები. დეპეშებს გვიგზავნიან, როცა ვცდილობთ ისინი მოსკოვში გადმოვიყვანოთ.

რატომ ვამბობ ყოველივე ამაზე? მაშინ ნორილსკში მეტალურგებს ვუთხარი, რომ ასეთი ბრძანება, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა, ეს ხომ, არსებითად, ტროცკისტული ლოზუნგია— „დაკარტყათ შტაბებს“. კულტურული რევოლუციის დროს დაარტყეს ჩინეთშიც და ამის შემდეგ 15 წელი მოუნდნენ საქმის გამოსწორებას. ამიტომ ასე „უბრალოდ“ მოპყრობა ინტელექტუალურ პოტენციალთან, იგი სტერეოტიპებითაც, ძველი აზროვნებითაც რომ იყოს გაჟღენთილი, არ შეიძლება. უნდა გითხრათ, საადანაც უნდა წამოვიყვანოთ ადამიანი, ყველამ თანაბრად უნდა გიაროს გარდაქმნის საქმეში, ჩამოყალიბდეს, შეისისხლხორცოს უკვე ახალი სტილი, ახალი ფორმები, ახალი აზროვნება. თორემ არაფერი გამოგვივა. ჩვენ ყველანი იმ დროის ხალხი ვართ. აი, ისინი კი, ვინც აქტიურ ცხოვრებას მხოლოდ ახლა, ამ წლებში იწყებს, უკვე სხვანაირები იქნებიან. ჩვენ ხომ ყველანი იქიდან მოვდივართ. ამიტომ ასეთი ბრძანების გაცემა ძალიან ადვილი იქნებოდა, მაგრამ ეს უაღრესად საშიშიც გახდებოდა. აი, დემოკრატიული პროცედურების საფუძველზე პროცესის განახლება კი საჭიროა. ეს აუცილებლად უნდა განვახორციელოთ. ჰოდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადავწყვიტეთ.

საქმე უკვე დაიძრა, და ყველგან, როგორც წესი, ალტერნატიულ საფუძველზე. უნდა ვხედავდეთ ყოველივე პოზიტიურს. და ვზრდიდეთ მას, მაგრამ თვალს არ უნდა ვარიდებდეთ ნეგატიურ გამოვლინებებსაც. აი, კაცმა რომ თქვას, ჩემი პასუხი კითხვაზე პარტიული კომიტეტების შესახებ. და პარტიული კომიტეტების შემადგენლობაც, ისევე როგორც მდივნის კანდიდატურაც, პარტიულმა მასამ უნდა განსაზღვროს. სწორედ მაშინ იქნებით დაზღვეული დიდი შეცდომებისაგან. თუმცა მთლიანად, 100 პროცენტით არასოდეს არ ვიქნებით გარანტირებული. ან ვინ არის გარანტირებული.

ასეთი ბარათი გამომიგზავნეს: „კენჭისსაყრელად გამოიტანეთ საკითხი გენერალური მდივნის საქმიანობის შეფასების, რუსეთის სფსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დისლოკაციის ადგილის შეცვლის შესახებ“. წინადადებას იძლევიან გადავიტანოთ იგი სვერდლოვსკში, აგრეთვე წინადადებით მივმართოთ რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობას, რომ რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭო და მინისტრთა საბჭოც სვერდლოვსკში გადაიტანონ. ამას კოროლკოვი გვწერს ბაშკირთიდან. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

ვფიქრობ, რაც განერალურ მდივანს შეეხება, ეს თემა თქვენთან აქტუალური იყო და ყველამ გამოთქვით აზრი. ამაზე საქმის მიდინარეობის კვალობაზე ვრეაგირებ. რაც შეეხება ხელახალ დისლოკაციას, ფიქრობ, იმუშაონ ახლად შექმნილმა რუსეთის საბჭოთა ორგანოებმაც და კომუნისტურმა პარტიამაც. მოიფიქრონ, მაგრამ არა მგონია, რომ რუსეთელებმა დედაქალაქი უნდა შეიცვალონ. ეს აქვე შემიძლია ვთქვა.

სერიოზული კითხვაა. ვფიქრობ, საჭიროა თუნდაც მოკლედ, მაგრამ ვუპასუხო მას. „თქვენ მიერ გაკეთებულ მოხსენებაში თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი რუსეთის მოსახლეობის ახლანდელი მდგომარეობისა და ცხოვრების დონის შესახებ. რა არის ეს, შეგნებული მიჩუმათება, თუ მოხსენება ვიღაცამ ასე შეარბილა? თუ ის, რომ არ იცით ადგილებზე შექმნილი ვითარება, რაშიც ეჭვი მეპარება. საორგანიზაციო კომიტეტი ვერ დათანხმდებოდა ასეთი მოხსენებას. კონფერენციის მუშაობა უფრო საჭირო კალაპოტით რომ წარიმართოთო, რაც კომუნისტთა და მთელი მოსახლეობის მისწრაფებებს შეესაბამება. შემოაქვს წინადადება კონფერენციის დელეგატებს აჩვენოთ გოვორუხინის ფილმი „ასე ცხოვრება არ შეიძლება“. გთხოვთ უპასუხოთ კითხვას და შემისრულოთ სურვილი. ამხანაგი ლავროვი ეგორიევსკიდან“, მგონი მოსკოვის ოლქია, არა? ეს შენიშვნაც სამართლიანი არის და ამავე დროს უსამართლოც.

რატომ? რაც შეეხება მთელ კონკრეტიკას, რომელიც რუსეთის კომპარტიის ყრილობის განხილვის საგანი უნდა გახდეს, ვფიქრობ, ამხანაგებო, ამას უნდა მიეძღვნას ყრილობის მეორე ეტაპი. ჩვენ მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტი პირველი მდივნის მეთაურობით ახლა საფუძვლიანად უნდა მოემზადოს, იმუშაოს მოხსენებაზეც და რესპუბლიკის კონკრეტულ პირობებში რუსეთის კომპარტიის მოქმედების პროგრამაზეც — სხვადასხვა რეგიონში დაგროვილი პრობლემების გათვალისწინებით. და ასე მგონია, რომ ეს უნდა იყოს მეტად ფართო დისკუსია. მარტო მოხსენებით თუმას ვერ ამოწურავ. ვფიქრობ, რომ ის, ვინც სექციები გაიხსენა, მართალია. ისინი უნდა მოეწყოს ყრილობის მეორე ეტაპზე, რათა აღამიანებს შეეძლოთ მაქსიმალურად გამოთქვან თავიანთი აზრი. ყველაფერი შესაფერისად უნდა შეფასდეს.

იმ ეტაპზე — ჩვენ ხომ ყველანი მონაწილეობას მივიღებთ მასში — გაიმართება კიდევ ნამდვილი სჯა-ბაასი ამ პრობლემებზე. და, როგორც ჩანს, იქ შევავსებთ კიდევ ამ ხარვეზს, რადგან პირველი ეტაპი, მაინც, დაკავშირებული იყო იმასთან, რომ უნდა მოგვეწყო დისკუსია — ყოფილიყო თუ არა პარტია, ჩამოგვეყალიბებინა მისი ორგანოები და გამოგვეხატა ჩვენი დამოკიდებულება დოკუმენტებისადმი, რომლებიც ყრილობამ უნდა განიხილოს. სამართლიანობა მოითხოვდა რაღაც მეთქვა უბედურებათა პირველ მიზეზებზე, რეგიონების დაგროვილ პრობლემებზე, განსაკუთრებით სოციალურ-კულტურულ განვითარებაში, ამ პოზიციით რუსეთის ყველა რეგიონი, პრაქტიკულად ყველა რეგიონი ჩამოუვარდება მრავალ რესპუბლიკას და უფრო დაბალი დონე აქვს, ვიდრე საშუალოდ სსრ კავშირში.

კითხვა. „მიხეილ სერგის ძეგ, რა იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — რესპუბლიკების პარტიათა კავშირი, საკორდინაციო ცენტრი თუ საერთოდ არ იქნება? ამხანაგი შაგაროვი, სარატოვი“.

დარწმუნებული ვარ, კომუნისტური პარტია ჩვენს ქვეყანაში იქნება, და ეუწინასწარმეტყველებ ხანგრძლივ სიცოცხლეს ამ პარტიას, რადგან იგი სოციალისტური იდეის გამოხატველია და დაკავშირებულია მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის ინტერესებთან. დღეს ეს თემა — „პარტია, მუშათა კლასი და მუშათა მოძრაობა“ — აქ დასმული იყო. კერძოდ, იგი ამხანაგმა მელნიკოვმა დასვა, და მესმის, ჩატომ დასვა იგი უწინარესად. ეს მან უფრო ძლიერად შეიგრძნო, ვიდრე, იქნებ, ყოველმა -ჩვენგანმა. მაგრამ ჩვენმა ხანმოკლე საუბრებმაც და ჩემ და ჩემ და ნიკოლოზ ივანეს ძე რიჟკოვის ხანმოკლე შეხვედრამ მუშებთან და გლეხებთან ერთხელ კიდევ დამარწმუნა, რომ ამ თემას უფრო ვრცლად უნდა შეეხოთო ჩვენს XXVIII ყრილობაზე. ჩვენი პარტიის ბედი სწორედ ამაშია. მისი სოციალური ბაზაა მუშათა კლასი, გლეხობა, მოწონავე ინტელიგენცია.

ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ დღეგრძელი იქნება სოციალისტური იდეა, კომუნისტურ პერსპექტივას არ უუფლებდან. აქედან კი გამომდინარეობს კომუნისტური პარტიის მომავალიც. მაგრამ პარტია აუცილებლად უნდა იყოს ახალი პარტია, რომელიც გამოეხმაურება ყველაფერს, რაც ქვეყანაში და ქვეყნის გარშემო ხდება. პარტია, რომელსაც ნამდვილად შეუძლია ახლა გამოხატოს ადამიანთა მომწიფებული მოთხოვნილებანი, მისწრაფებანი, კლასიკაც იყოს გარდაქმნის იდეების გენერატორი, დამრაზმველი და გამაერთიანებელი ძალა, თუ იგი არ გარდაიქმნა და ისეთივე სახით დარჩა, როგორითაც აქამდე ცხოვრობდა და მოქმედებდა, იგი ვერ შეასრულებს ამ როლს. აი, რატომ იყო ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, მოგვეახლოებინა ყრილობა, რათა მგეზელ გადაწყვეტილება, განგვეხილა ეს საკითხები და მიგვეცა მძლავრი იმპულსი პარტიის განახლებისათვის. ან იგი უნდა შეიცვალოს და სათავეში ჩაუდგეს ჩვენი ადამიანების, უწინარესად მუშათა კლასის წინსწალა, ან მას ისტორია გარიყავს.

და მე ერთიანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომხრე, ფედერალიზაციის წინააღმდეგი ვარ.

ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია და ვფიქრობ, რომ იგი გაშუქდება მოხსენებაში, დარწმუნებული ვარ, ეს უნდა მოხდეს XXVIII ყრილობაზე: „იმაში დარწმუნების საჭიროება, რომ მიზანშეწონილია გარდაქმნა და კავშირის შემადგენლობაში რესპუბლიკების ყოფნა, მოწმობს არგუმენტების სისტემა და სერიოზულ ხარვეზებს ამ საკითხებში“.

სწორი შენიშვნაა. ნამდვილად, ამხანაგებო, განსაკუთრებით ახლა, როცა დაგვიდგა ფუნდამენტური ცვლილებების ფაზა გარდაქმნის პროცესის ფარგლებში, გვაკლია ასეთი მუშობა. და ის, რომ ჩვენ აი ასე, მოკმზადებლად „დავიტეხეთ ფაფა“ არცთუ უბრალო მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებას რეგულირებად ბაზარზე გადასვლის საკითხი, ესეც მაგალითია, თუ როგორ შეიძლება, ზოგადად რომ ვთქვათ, დარტყმა მიაყენო პოლიტიკის მეტად დიდ პრობლემებს. ეს პრობლემა ფორთოდ უნდა გამეშალეს მოხსენებაში XXVIII ყრილობაზე..

„პლატფორმის პროექტსა და მოხსენებაში მკაფიოდ გაისმა აზრი, რომ პარტია, მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა ხელმძღვანელობა, ჩამორჩება საზოგადოებაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესს. მაგრამ რატომ მოხდა ეს, გაურკვეველია. შეფასება არა აქვს მიცემული პოლიტბიუროს“ წევრთა საქმიანობას...“. ვფიქრობ, უკვე დავიწყეთ ასეთი შეფასების მიცემა, მათ შორის აქ, ყრილობაზე, შეეუდექით ანალიზს და, მგონია, პრობლემების მთელი ეს წრე უნდა დავაყენოთ XXVIII ყრილობას უფრადღების ცენტრში. ჩემი მხრივ, მოხსენებაში შევეცდები შევაფასოთ ყოველივე ეს.

„რატომ არის, რომ გარდაქმნის მხოლოდ მეხუთე წელს წყდება აპარატის დაუსაბუთებელი პრივილეგიების საკითხი? ხალხი ელოდა პარტიის სწრაფ ზნეობრივ განწმენდას“. სწორი შენიშვნაა ის, რისი მოშორებაც საჭიროა, უნდა მოვაშოროთ და, ჩემი მხრივ, უნდა ვთქვა, რომ პარტიელთა უმრავლესობას ეს სულაც არ ეხება. **(ტაში).**

და კიდევ. საჭიროა მხოლოდ გავარჩიოთ ის, თუ რა გეკუთვნის კანონით. გარკვეულ პრივილეგიებს, შეღავათებს აძლევდა სახელმწიფო და, ალბათ, კვლავაც მისცემს — ახლა მათ გარშემოც მიმდინარეობს საკონობდებლო მუშაობა. საქმე კი იმას ეხება, რომ ზოგიერთები, სარგებლობენ რა სამსახურებრივი მდგომარეობით, ბოროტად იყენებენ და ითვისებენ უკანონო პრივილეგიებს. ხალხი კი ყველაფერს ხედავს. თუ საქმე იმით ამოიწურება, რომ უნდა გადაწყვეტილიყო, მაგალითად. პოლიტბიუროს წევრებისათვის აგარაკებთან ან ზოგიერთ სხვა შეღავათთან დაკავშირებული საკითხი, რა თქმა უნდა, ეს არც იმდენად ძნელი ამოსახსნელია. და იგი უკვე გადაწყვეტილია. მაგრამ ის, რომ მთელ ქვეყანაში არის ყოველგვარი მემკვიდრეობითი მამულები, სამთავროები, საუფლისწულოები, ეს ფაქტია.

რაღა თქმა უნდა, ხელუხლებელი ზონები მთელ ქვეყანაში იყო. და, ასე ვთქვათ, „რეგიონული კომფორტი“ ჯერ კიდევ არის ამ მიმართულებებზე. კვლავ არის. სადღა არიან ასეთ შემთხვევაში პარტიელები, გეკითხებით მე? სად არის პარტიული კონტროლი? სად არის მათ მიერ საკითხის დაყენება? ასე რომ, მოდით საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. მე ასეთი მიდგომის მომხრე ვარ. უნდა დარჩეს მხოლოდ ის, რაც კანონით არის დაწესებული.

აქ დელეგატი გოლიცინა ამბობს: „მოხსენებაში სწორად არის ნათქვამი, რომ რუსეთი არავის დაუცავს მისი უფლებების შელახვისაგან. აღიარეთ ეკონომიკის მცდარი განვითარების, სოციალურ საჭიროებებზე სუსტი ორიენტაციის ფაქტი. გვითხარით, თქვენ. როგორც ხელმძღვანელი, რატომ არ აღკვეთდით ასეთ მოქმედებას? დაასახელეთ „კონკრეტული დამნაშავეები“, — და ორი ძაბილის ნიშანი.

აი რა უნდა გითხრათ გულახდილად. თუ ნახავთ მრავალ ჩვენს კადრს ცენტრში და რესპუბლიკაში, როგორც წესი, ესენი ღირსეული ადამიანები არიან, წამოყვანილი და მოსული აქ ადგილებიდან დემოკრატიული პროცესის შედეგად. ვარჩევდით მართლაც საუკეთესოებს. მაგრამ როგორც კი ადამიანი ალმოჩნდებოდა ამ ფუნქციურ სისტემაში, იგი აკეთებდა იმას, რასაც მოითხოვდა სისტემა. ამიტომ საკითხი საერთოდ ასე დგას: ჩვენ უნდა შევეცადოთ როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ისე ეკონომიკის მართვის მოდელიც, — რასაც კიდევაც მოვკიდეთ ხელი. თუ ამას არ ვიზამთ, სისტემა ყველას მიუჩენს თავის ადგილს, ყველას. ამაში გარწმუნებთ — გამოცდილების საფუძველზე. ამიტომაც უნდა ვაკეთოთ ის, რასაც ვაკეთებთ. თუ დავუწყებთ ძებნას ჯადოქრებსა და მტრებს — ეს ის არ იქნება. სხვა საქმეა, რომ ის, ვინც კანონს გადაბიჯა, დაარღვია იგი, — დაე აგებდეს პასუხს კანონის შესაბამისად. საერთოდ კი უნდა ვიაროთ ასეთი, გარდამქმნელი გზით, ამხანაგებო.

აქ ამხანაგებმა შეგვახსენეს, რომ იყო დაპირება პარტიის საქალაქო კომიტეტების, რაიკომების პირველი მდივნების თათბირის თაობაზე. გეთანხმებით, არის შეცდომა ჩვენს მუშობაში. უნდა გამოვასწოროთ, სჯა-ბაასი საჭიროა.

კითხვა: „როგორია, თქვენი აზრით, მმართველი პარტიის ფუნქციები და ამოცანები, მისი ადგილი და როლი საზოგადოებაში მრავალპარტიულობის პირობებში?“

შეეეცდებით ამ თემას ვრცლად შეეგებოთ XXVIII ყრილობაზე.

„როგორ ეკიდებით რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ნაწილის იმ ცდას, რომ გაატარონ პარტიულ ორგანიზაციათა აკრძალვის გადაწყვეტილება საწარმოო შრომითს კოლექტივებში?“ სახალინის დელეგაცია, სამი დელეგატი.

მე უკვე გამოთქვი აზრი ამის თაობაზე. ვფიქრობ, პარტია, რომელიც იცავლის მუშაობის სტილსა და ფორმებს, დაადგა დემოკრატიზაციის, გასახლების გზას, ფუნქციათა დანაწილების გზას. მაგრამ, იგი არ მიდის საზოგადოების ცხოვრების არც ერთი სფეროდან. ასეთია ჩვენეული პარტიის კონცეფცია და მისი საქმიანობის აგების იდეა, და მე მათი ერთგული ვარჩევი. ეს ერთ-ერთი იმაზე, რომ ბევრი რამ არის პოზიტიური, საინტერესო იმავე დემოკრატიულ პლატფორმაში. არის აგრეთვე მიუღებელი მხარეებიც: მაგალითად, პარტიის პარლამენტური ტიპი ან შინაგანი დისციპლინის მკაცრ ფრაქციათა არსებობა. ამას მე უარვყოფ. პრინციპულად არ ვეთანხმები.

მაგრამ საქმე სხვა რამეც არის: რა მიზნები იმალება ამა თუ იმ პლატფორმის მიღმა? სოციალურ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური? საიდან? გვიხმობენ? ეს უკვე სხვა საკითხია. ყველაზე დემოკრატიულ პლატფორმაშიც ვერ იპოვით ამას. ხოლო როცა მისი მომხრენი უკვე სხვა აუდიტორიებში გამოდიან, მაშინ უკვე ჩანს, რომ არის ჩვენთვის მიუღებელი რაღაცეები. მაგრამ ამ შემთხვევაშიც, ჩემი აზრით, სწორად მოვიქეცით, რომ ყრილობაზეც თანამოხსენებების სახით — ეს საერთოდ არნახული ამბავია ჩვენი პარტიის ისტორიაში — თხუთმეტ-თხუთმეტი წუთი მივეცით გამოსვლისათვის ამხანაგებს, კომუნისტებს, რომლებმაც ასახეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შექმნილი სხვადასხვა მიმდინარეობანი. ჩვენ სწორად მოვიქეცით.

ახლა რაც შეეხება საინიციატივო ყრილობას. იგი შეწუხებული იყო პარტიის ბედის გამო. სწორედ ამან წაიქეზა კომუნისტები, რომლებიც შეიკრიბნენ ერთხელაც, მეორედაც ამ წუხილის სარეალიზაციოდ, იმისათვის, რომ მათთვის შოესმინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში. ამას მივესალმები. ეს პასუხსაგები პოზიციაა: მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ყრილობის გარშემო ბევრი იყო პოლიტიკური სპეკულაცია. მათ შორის თავად ყრილობის ორგანიზატორები გამოვიდნენ ისეთი ინტერვიუებით, სადაც,პირდაპირ გეტყვით, იერიშები მიჰქონდათ გარდაქმნის პოლიტიკაზე. მე კი ამას უარვყოფ. რადგან მტკიცედ ვუჭერ მხარს იმ არჩევანს, რომელიც აპრილში გავაკეთეთ. ჩვენ უნდა გარდავიქმნათ, თუ გვინდა ფეხდაფეხ მივსდიოთ ცივილიზაციას. ჩემი აზრით, ახლა არ არის აუცილებელი დაწვრილებით შევეხო ამას, ამხანაგი ტიუკანი გამოვიდა, გაგვიზიარა თვისი მოსაზრებანი. იქნებ, რამდენადმე წრესაც გადასცდა, მაგრამ, უნდა ითქვას, აქ, ამ ტრიბუნაზე, ამ ყრილობაზე, ცოტა თუ იყო ისეთი, წრეს რომ არ გადასცდენოდა. ეს უკვე დროის ხარკია, რაც ზოგიერთი კომუნისტი ახლა პოპულისტებისაგან სესხულობს მეთოდებს: რაც უფრო ძლიერ აკიცხავ, უმაღლეს უფროსობას, მით უფრო მეტ ავტორიტეტს იხვეჭ. და გაბედული, გულადი კაცის სახელს იმსახურებ. მაგრამ ყველაფერი ეს ეგაღლის, ხალხი გაიარკვევა. **(ტაში).**

კითხვა. „თქვენ მოხსენებაში ბრძანეთ, არავის მივცემთ უფლებას ჩაერიოს ჩვენს საშინაო საქმეებშიო. როგორია გავიგოთ, რომ დასავლეთის ქვეყნების ხელმძღვანელები, კერძოდ პრეზიდენტი ბუში ბაუწყებენ ასეთ თაობაზე, და იქ ჩვენს შესაძლო მოქმედებას უკავშირებენ თავიანთ პოზიციას, სსრ კავშირის მიმართ?“

პასუხი. ჩვენ ეუფრადღებოდ არ ვტოვებთ ამას, რადგან მართლაც არ დავუშვებთ ჩარევას საშინაო საქმეებში. სწორედ ასე ვუთხარი პრეზიდენტს.

კითხვა. „და მეორე — ჩვენი შუა აზიის რესპუბლიკების საქმეებში განუწყვეტლივ ერევიან მოჯაჰედები, რომელთა ზურგს უკან პაკისტანი და ამერიკის შეერთებული შტატები დგანან. როგორია რეაქცია?“

პასუხი. ახლა არ ვაპირებ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. იქნებ, ზოგისთვის ყველაფერი ნათელია, ჩემთვის კი კითხვა არ არის გასაგები. ამიტომ მას ჯერჯერობით ჩემთვის ვიტოვებ.

კითხვა: „ხომ არ შეგიძლიათ მოკლედ დაახასიათოთ რუსეთის სფსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატი? როგორ შემცირდება ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატი?“

პასუხი: დროული კითხვაა. რაკი შევქმენით პარტია, ახლა მით უმეტეს უნდა ვიზრუნოთ, რომ ცენტრალური კომიტეტიც, აპარატიც უნდა შევქმნათ უწინარესად იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური კომიტეტის აპარატისა და რუსეთის ცენტრალური კომიტეტის მომავალი აპარატის შენახვისათვის განკუთვნილი შემოსავალი არ კი უნდა გავადიდოთ, არამედ უნდა ვეცადოთ კიდევაც შევამციროთ. რადგან უძღვებოდა ამ საკითხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტ მანვე ძმურად, ასე ვთქვათ, კიდევაც უნდა უწილადოს. მეორე — სად განლაგდეს? ჩემი აზრით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შენობაში. ესე იგი, ჩვენ უნდა გამოვყოთ შენობათა რაღაც ბლოკი და გადავცეთ რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ყველაფერი უნდა ვაკეთოთ არსებულის ბაზაზე, და არ ვაშენოთ თავიდან, არ ვიფარფოროთ შტატები და ასე შემდეგ. ვფიქრობ, ამაში დამეთანხმებით. **(ტაში).**

კითხვა: „თქვენ მრავალგზის მოგვწოდებთ არ ჩავიროოთ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს საქმიანობაში. მაშ რატომ არ გამოსცემთ დროებითს, თუნდაც ორი წლით, ბრძანებულებას, რომელიც ყველას აუკრძალავდა ჩარევას იმ მეურნეობათა საქმიანობაში, რომლებიც იჯარაზე არიან, ჯოლმეურნეობებისა და იმ კოლექტივების საქმიანობაში, სადაც ხელმძღვანელები არჩეული არიან ალტერნატიულ საფუძველზე? ილიჩიჯამ ნოვოსიბირსკის ოლქიდან“.

პასუხი. რა გაეწყობა, მოდით მოვიფიქროთ. თუ საჭიროა ბრძანებულება, მე მზად ვარ. მაგრამ, ჩემი აზრით, ბაზარზე გადასვლამ თავისთავად უნდა გამორიცხოს „საყოველთაო ჩარევის“ ასეთი სიტუაცია.

კითხვა: „როგორია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა პირველი მდივნების აზრი რუსეთის სფსრ კომუნისტური პარტიის შექმნის შესახებ?

პასუხი: იწონებენ და გაგებითაც ეკიდებიან.

კითხვა: „დელეგატი ჩუმაკოვი. რატომ მოხდა, რომ თქვენ, გამაღაცნადეთ რა წლის აპრილში გარდაქმნა, არ მოეთათბირეთ ქვეყნის კომუნისტებს? საჭირო იყო შეგექმნათ გარდაქმნის მოდელი, განგესაზღვრათ მექანიზმები, პირველი რიგის და მომდევნო ამოცანები. ექსპერიმენტები ქვეყანასა და ხალხზე არ შეიძლება“.

პასუხი. ამხანაგებო! და მაინც მე არ შემიძლია დავეთანხმო ასეთ ბრალდებას ჩემს მიმართ, არც ცენტრალური კომიტეტის მიმართ, არც, მთავრობის მიმართ — ქვეყნის მთელი ის ხელმძღვანელობის მიმართ, რომელიც გარდაქმნას იწყებდა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ დღეს დავიძინეთ, ხვალ კი გამოვიღვიძეთ — და სასწაულ! ერთი მოდელი მეორეს შეუცვლია... თქვენ თვალი გაადევნეთ, როგორ მოვდიოდით ჩვენ და როგორ ვიძენდით გამოცდილებას, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, საშუალება მოგვცა გადაგვედგა გადამწყვეტი ნაბიჯები პოლიტიკურ სფეროში და ეკონომიკაშიც, ფედერაციაშიც, თვით პარტიაშიც! ამას რეალურად ვერ წარმოვიდგენდით. ეს არ ყოფილა პარტიაში, საზოგადოებაში. მაგრამ იყო ცვლილებათა საჭიროების გაგება. იმისა, რომ ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. და იშვა კონცეფცია, ჩანაფიქრი: სოციალისტური არჩევანის ფარგლებში მიგვენიშნებინა სუნთქვა, გამოგვეკვლიენებინა სოციალისტური წყობილების პოტენციალი ხელისუფლებისაგან, საკუთრებისაგან, კულტურისაგან ადამიანის გაუცხოების დაძლევის მეშვეობით. სწორედ ამ კონცეფციის, ჩანაფიქრის ფარგლებში დაიწყო კიდევ ძიება, გამოცდილების დაგროვება ყველა მიმართულებით.

თავდაპირველად გვსურდა მხოლოდ მეენეიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზით მიგვეღწია შრომის ახალი ნაყოფიერებისათვის, ეროვნული შემოსავლის ზრდის ახალი დონისათვის და გადაგვეჭრა დაგროვილი პრობლემები. არ გამოგვივიდა. და ეს ის დროს

საწინდარი ნდობისა

(დასასრული)

კონცეფციაში. ეს უკანასკნელი კი, ჩემი აზრით, ფრიად სოლიდური დოკუმენტია და, განზორციელების შემთხვევაში, დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოს.

მისასალმებელია, რომ პარტიის დამოუკიდებლობის მოპოვება დებულებებშიც არის მითითებული. მასში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტია შეუძლებლად თვლის ამჟამინდელი სტატუსის შენარჩუნებას, საბოლოოდ უარყოფს ცენტრალური ორგანოების დიქტატს, ზემოთ შემუშავებული იმ გადაწყვეტილებების თავმოხვევას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ქართველი ხალხის ინტერესებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენას.

ცხადია, მიზანი ჰუმანურია და საბოლოოდ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს. ერთი სიტყვით, დღითი დღე ძლიერდება თვითგამორკვევის პროცესი. ყველა კომუნისტი იმ იდეას უჭერს მხარს, და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მის გადაწყვეტაზე იქნება დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციების ბედ-იღბალი. მხოლოდ ამ მემთხვევაში შეძლებს კომპარტია ერის ნდობის მოპოვებას და მის კონსოლიდაციას, სხვადასხვა მოძრაობათა და მიმართულებათა გაერთიანებას ისე, როგორც ამას მოითხოვს ერის განვითარების, სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღდგენის ინტერესები. მისასალმებელია პროგრამის პროექტის შესაბამისად საქართველოს კომპარტიის მიერ სხვა რესპუბლიკათა კომპარტიებთან ურთიერთობის წარმართვა თანასწორუფლებიანობის პრინციპით, პარიტეტულ საწყისებზე, კავშირის დამოუკიდებლად დამყარება და განვითარება სხვა სახელმწიფოების პროგრესულ პარტიებთან.

— თქვენი აზრით, მრავალპარტიულობის ვითარებაში როგორ უნდა შეიცვალოს ორგანიზატორული მუშაობის ფორმები და მიმართულებანი?

— პარტიის ახლებური როლის შესაბამისად, როცა ფაქტობრივად იგი აღარ იქნება სამმართველო ორგანოთა ფუნქციის შემსრულებელი, უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომ ყველა პარტიას ჰქონდეს ხელისუფლებისათვის პოლიტიკური ბრძოლის თანაბარი პირობები. საკითხის ასე დაყენება, ვფიქრობ, სავსებით სამართლიანია და იგი არ ნიშნავს უფლებებისა და ფუნქციების მთლიანად სხვისათვის გადაბარებას. დარწმუნებული ვარ, სხვა პარტიებთან თანაბარ, პატიოსან ჭიდილში ნამდვილად ხალხის ნებით მოპოვებული უფლებები გაიცლებით უფრო მტკიცე და საიმედო იქნება, ვიდრე კანონებით, თუნდაც კონსტიტუციით, და მხოლოდ დეკლარაციულად გამოცხადებული ხელისუფლების მონოპოლიური უფლებები.

— კონკრეტულად რა წინადადების წამოყენებას აპირებთ ურილობაზე?

— როგორც საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობაზე ჩამოყალიბდა, საქართველოს კომუნისტური პარტია უნდა იყოს ნებაყოფლობით გაერთიანებულ მოქალაქეთა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც იხელმძღვანელებს რესპუბლიკის კონსტიტუციით და მიზნად დაისახავს ჰუმანური, დემოკრატიული საზოგადოების აშენებას, რაღაცრად უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა პრიორიტეტს. იგი იმოქმედებს საკუთარი საპროგრამო და ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე, ყოველმხრივ გაითვალისწინებს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს. აუცილებელია შეიქმნას რესპუბლიკათა დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი კომპარტიების თვისებრივად ახალი, პარიტეტულ საფუძველზე აგებული კავშირი. ამიტომ აუცილებლად მიმაჩნია შესაბამისი ცვლილებების შეტანა სკკპ XXVIII ყრილობისათვის პარტიის პლატფორმისა და წესდების პროექტების შესაბამის დებულებებში.

— თქვენი აზრი გარდაქმნასა და პრესაზე, კერძოდ, გაზეთ „კომუნისტზე“.

— დღეს პრესას მხოლოდ სიმართლის სამსახური მოეთხოვება. მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ პრესის ამოცანა, მით უმეტეს ისეთი გაზეთისა, როგორიც „კომუნისტია“. ამ მიმართულებით სათქმელი და განსაჯელი, ალბათ რედაქციას ბევრი აქვს. ჩვენ ვცხოვრობთ გარდაქმნის, დემოკრატიზაციის გლობალურ ეტაპებისა და საჯაროობის ეპოქაში. იგი არ არის და არც შეიძლება იყოს მშვიდი, რადგან რევოლუციური გარდაქმნა ეკონომიკაში, პოლიტიკასა და აზროვნებაში სწორედ ძვრებსა და მოქმედებას მოითხოვს.

დრომოჭმულის მსხვრევა არ შეიძლება ხდებოდეს შეუმჩნევლად, უხმაუროდ, მას ყოველთვის ღირებულებათა ხელახალი შეფასება სდევს თან. ბუნებრივია, ამ მიზნით მეტის გაკეთებაა საჭირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერება

ასტროფიზიკოსთა სკოლა-სიმპოზიუმი თელავში

ახლახან თელავში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სკოლა-სიმპოზიუმმა პლაზმურ ასტროფიზიკაში, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა, ამერიკელი, ფრანგი, ინგლისელი, იაპონელი, გერმანელი და სხვა ქვეყნების წარმომადგენელი თვალსაჩინო მეცნიერები. ჩვენ ვთხოვეთ სიმპოზიუმის ერთ-ერთ დამფუძნებელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თეორიული ასტრო-ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელს **ჯუმბერ ლომინაძეს** მოეთხრო სიმპოზიუმის ამოცანებსა და მიზნებზე.

— სიმპოზიუმს საფუძველი 1982 წელს ჩაეყარა. მას შემდეგ იგი ორ წელიწადში ერთხელ მონაცვლეობით ამართება იტალიასა და საქართველოში. ამიტომაც დაერქვა მას ვარენა-აბასთუმნის ერთობლივი სიმპოზიუმი. მის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის მილანის უნივერსიტეტთან არსებული პლაზმის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ელიო სინდონის. ასტროფიზიკოსთა ამ შეკრებებმა მალე მოიპოვა აღიარება და პოპულარობა მსოფლიო მეცნიერთა შორის. კიდევ ორმა ქალაქმა ნაგოიამ (იაპონია) და პოტსდამმა (გერმანია) მოისურვა მის თანამონაწილედ გახდომა. ამიტომ მას უკვე ვარენა-აბასთუმან-ნაგოია-პოტსდამის სიმპოზიუმი ეწოდება.

სკოლა-სიმპოზიუმზე განიხილება თანამედროვე ასტროფიზიკის აქტუალური პრობლემები, მზის სისტემის პლანეტებისა და მზის ფიზიკა; პულსარების ეგრეთ წოდებული შავი ხვრელების, რენტგენული და გამაგამოსხივების კვლევის საკითხები.

ასტროფიზიკოსთა თანამშრომლობა სადღეისოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მეცნიერება ახალ ეტაპზე გადის — ციურ სხეულთა და მოვლენათა შესწავლა თანამგზავრებზე დამონტაჟებულ ტელესკოპებით წარმოებს. ამის მაგალითია სულ ახლახანს ამერიკელი მეცნიერების მიერ კოსმოსურ ხომალდ „ატლანტ“ 2-3 მეტრი დიამეტრის მქონე ტელესკოპის გატანა დედამიწის ზედაპირიდან ექვსასი კილომეტრის სიმაღლის ორბიტაზე, რაც განუზომლად ზრდის კვლევის ეფექტს.

მეცნიერთა შეხვედრები, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა წინსვლის აუცილებელი საფუძველი. ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო და საბჭოთა მეცნიერების გვერდით ქართულ ასტროფიზიკურ სკოლას ღირსეულად წარმოადგენენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ახალგაზრდა მეცნიერები. ეს კი იმის იმედს ბადებს, რომ მომავალ, დამოუკიდებელ საქართველოს მეცნიერთა საიმედო ცვლა ეზრდება.

სიმპოზიუმი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ოცდაათზე მეტი უცხოელი სტუმარი გაეცნო ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს, მის ხალხს და ბუნებას, ქართულ შემოქმედებას.

მკითხველებს აქვე ვთავაზობთ სიმპოზიუმის მონაწილეთა პირველ შთაბეჭდილებებს.

**ალბერტ ბალე

გასტროლები

ეს ღვთაებრივი ბალანჩინი!

მონტე-კარლოს სამბალეტო დასის საგასტროლო ათეულმა, რომელიც შეიცავს სამბალეტო და მუსიკალური სამყაროს გამოჩენილ მოღვაწეთა სახელებს, მაინც, უპირველესად, ჩვენი უურადღება მიიპყრო ჯორჯ ბალანჩინის სახელით. ეს გასაგებია — ჩვენი საუკუნის დიდი ბალეტმაისტერი, წარმოშობით ქართველი, ამერიკული ბალეტის უფიქმდებელი, რომლის ქმნილებათა ხილვა ჩვენ თითქმის ამ ორი ათეული წლის წინათ ეღირსა და დღემდე ულამაზეს ზმანებად შემორჩა მეხსიერებას, ბუნებრივია, ცხოველ ინტერესს გამოიწვევდა.

ვფიქრობ, ეს წინასწარ გითვალისწინა საგასტროლო პროგრამის შემდგენელმა და პირველი სალამოები ბალანჩინის ერთაქტიანი ბალეტების ჩვენებას დეთმო. ეს გასლავთ ი. სტრავინსკის „სავიოლინო კონცერტი", „კაპრიჩიო ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის" („ლალი") და პ. ჩაიკოვსკის „თემა ვარიაციებით".

ბალანჩინის ბალეტში ცეკვა იოლი როდია. თუმცა, მის ქმნილებებში არ გვხვდება უხაშველო სირთულეები, რომლებიც მსახიობისაგან მოითხოვს ზეადამიანურ დაძაბულობას. აქ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ბალანჩინი რომ სრულყოფილად შეასრულო, განსაკუთრებული მუსიკალობით უნდა იყო დაჯილდოებული, რიტმის ფაქიზი შეგრძნება და ამავე დროს სრულყოფილი ტექნიკა და თავისუფლად მომართული სხეული უნდა გიწყობდეს ხელს. ბალეტმაისტერის ტექნიკა უკიდეგანოა, ფანტაზია — ამოუწურავი, ფორმა კი ეთეტიკური და სადა. ეს ის ხასიათია, რომელიც მარტო ბუნებაში არსებობს. ეს ღვთაებრივი უბრალოებაა! გენიალური უბრალოება.

ჩაუკვირდით ბალეტ „ლალის" პლასტიკურ ქსოვილს, მიუგდეთ ყური ამ უცნაურ, ხატოვან მუსიკას, რომელიც დაბადა მეამბოხე და ნოვატორ იგორ სტრავინსკის ფანტაზიამ, რომელმაც აქ შეახვედრა ერთმანეთს უკიდურესობანი — ძველი რომანტიკული მანერა და... რუმინული რესტორნის ჯაზი (ამას თვითონ კომპოზიტორი მიგვითითებს თავის მემუარებში). ახლა ეს ლავი, ანცი ღიმილით შეასრულებს იგი თავის საცეკვაო მონოლოგს, მთლიანად აწყობილს კეთილშობილი ქნის წახნაგების ელვარებით, ხან შეერევა კორდებალეტის კალეიდოსკოპს, ხან მკვეთრი ნათებით აღმოცენდება მის ფონზე. ამასობაში მზადდება დუეტის — ბალეტის ყველაზე ლამაზი ადგილის — პიროეტენის გამოსვლა. ამ დუეტშიც შერწყმულია საპირისპირო გრძნობები: კდემამოსილება, ვნებიანობა, ბავშვური სიცელქე და გამომწვევი ხითამამე. აქ თავს შეგვახსენებს აღმოსავლური კოლორიტი და ყოველივეს მოსავს თბილი იუმორის ხამოსელთ. მოცეკვავეები მორჩილნი ბალეტმაისტერის ნება-სურვილისა, არღვევენ აქ აკადემიური სკოლის მკაცრ კანონებს, მაგრამ ბოლომდე ცეკვის ესთეტიკის ერთგულნი რჩებიან.

ბალანჩინი თავის ფენომენს ახე ხსნიდა — „მე ვიხწავლე ცეკვა, მოძრაობა, მე მიყვარდა მუსიკა და მომინდა ამემოძრავებინა მოცეკვავე". რა მარტივი ახსნაა! ბალანჩინი პროფეხიონალი მოცეკვავე და მუსიკოსი იყო. თავისებური უმაწვილი, რომელიც პეტერბურგის ღრუბლიანი ცისა და მელიტონ ბალანჩივაძის ხუმბარმოყვარე ოჯახში იზრდებოდა. იგი 1921 წელს ამთავრებს ქორეოგრაფიულ სახწავლებელს და 26 მაისს გამოსაშვებ სალამოზე, საქართველოდან ხაკმაო მანძილით დაშორებულ სცენაზე, მოხდენილად შეასრულებს ქართულ ცეკვას! ვენეტიკას ჩვენთან ხელაღებით უარყოფდნენ, მაგრამ ფაქტის უარყოფა, მის არარსებობას როდი ნიშნავს. გადის წლები და უკვე ამერიკელი ჯორჯ ბალანჩინის შემოქმედებაში მოულოდნელად, ოღონდ, კანონზომიერად იფეთქებს წარმომავლობა. ეს გამეღავნდება მისი ნააზრევის ოპტიმისტურ და დღესასწაულებრივ ბრწყინვალებაში.

ქართული მხნეობა ყოველთვის უწყობს ხელს მას გადალახოს ცხოვრების სირთულეები, ხოლო თანდაყოლილი იუმორი ხშირად ხასიათამაე მარტო ვენიოსების ხვედრია, რადგან მხოლოდ მათ ძალუძთ თავისი წუთიერი ემოცია, თუ გნებავთ, კაპრიზი ხელოვნების ეშეშარიტ ქმნილებად აქცეონ.

ბალანჩინი ეპოქის ყველაზე მუსიკალური ბალეტმაისტერია, რომელსაც მუსიკის პლასტიკიდან, სხეულის პლასტიკა ამოძყავს, შემსრულებლიდან კი განთავისუფლებული სული. ბალეტ „ლალიში" იგი ქმნის ხატოვან და იუმორით აღსავსე გარემოს. ქორეოგრაფი უხვად გვთავაზობს საცეკვაო კომპოზიციებს, რომელიც უცნაური, შთამბეჭდავი და მხოლოდ და მხოლოდ მისი პოეტური შთაგონების ნაყოფია. ანალოგს ვერსად მოუნახავთ.

კორდებალეტს გამოეყოფა ხოლისტი ქალი ანა დერეო. მომხიბლავი, ანცი ღიმილით შეასრულებს იგი თავის საცეკვაო მონოლოგს, მთლიანად აწყობილს კეთილშობილი ქვის წახნაგების ელვარებით, ხან შეერევა კორდებალეტის კალეიდოსკოპს, ხან მკვეთრი ნათებით აღმოცენდება მის ფონზე. ამასობაში მზადდება დუეტის — ბალეტის ყველაზე ლამაზი ადგილის — პიროეტენის გამოსვლა. ამ დუეტშიც შერწყმულია საპირისპირო გრძნობები: კდემამოსილება, ვნებიანობა, ბავშვური სიცელქე და გამომწვევი ხითამამე. აქ თავს შეგვახსენებს აღმოსავლური კოლორიტი და ყოველივეს მოსავს თბილი იუმორის ხამოსელთ. მოცეკვავეები მორჩილნი ბალეტმაისტერის ნება-სურვილისა, არღვევენ აქ აკადემიური სკოლის მკაცრ კანონებს, მაგრამ ბოლომდე ცეკვის ესთეტიკის ერთგულნი რჩებიან.

ბალანჩინი თავის ფენომენს ახე ხსნიდა — „მე ვიხწავლე ცეკვა, მოძრაობა, მე მიყვარდა მუსიკა და მომინდა ამემოძრავებინა მოცეკვავე". რა მარტივი ახსნაა! ბალანჩინი პროფეხიონალი მოცეკვავე და მუსიკოსი იყო. თავისებური უმაწვილი, რომელიც პეტერბურგის ღრუბლიანი ცისა და მელიტონ ბალანჩივაძის ხუმბარმოყვარე ოჯახში იზრდებოდა. იგი 1921 წელს ამთავრებს ქორეოგრაფიულ სახწავლებელს და 26 მაისს გამოსაშვებ სალამოზე, საქართველოდან ხაკმაო მანძილით დაშორებულ სცენაზე, მოხდენილად შეასრულებს ქართულ ცეკვას! ვენეტიკას ჩვენთან ხელაღებით უარყოფდნენ, მაგრამ ფაქტის უარყოფა, მის არარსებობას როდი ნიშნავს. გადის წლები და უკვე ამერიკელი ჯორჯ ბალანჩინის შემოქმედებაში მოულოდნელად, ოღონდ, კანონზომიერად იფეთქებს წარმომავლობა. ეს გამეღავნდება მისი ნააზრევის ოპტიმისტურ და დღესასწაულებრივ ბრწყინვალებაში.

ქართული მხნეობა ყოველთვის უწყობს ხელს მას გადალახოს ცხოვრების სირთულეები, ხოლო თანდაყოლილი იუმორი ხშირად

დრო და ხელოვანი

ვინაც საქართველოს ტელევიზიის დაბადება ახსოვს, (1956 წლის 30 დეკემბერი), უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ჟანეტა არჩვაძის — ტელევიზიის ერთ-ერთი პირველი დიქტორის შემოქმედებითი ბიოგრაფია საქართველოს ტელევიზიის ბიოგრაფიაც არის.

საშუალო ასაკს გადაცილებულთა ნოსტალგიური დამოკიდებულება იმ წლების მიმართ, რომლთაც ვეღარ დავიბრუნებთ, სავსებით ბუნებრივია, და ამიტომ ზშირად ერთგვარი პარადოქსულობითაც გამორჩეული. ჩვენ გვიყვარს ის, რაც იყო, გვიყვარს საკუთარი თავი ამ დროში და მათ მიმართ, ვინც ჩვენი პიროვნული წრთობის მოწმე იყო, მხოლოდ კეთილი განცდები გვებადება, რადგან ავს დრო ცხრილავს და ჩვენ მხოლოდ კარგი გვაახსოვრდება.

ტელევიზია, საერთოდ, კერძოდ კი, საქართველოს ტელევიზია, ისე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და ჯერაც შეუცნობელი კვალი დაიჩნია, რომ შეუძლებელია ამ ზემოქმედების უშუალო მონაწილეებად ის ადამიანებიც არ მივიჩნიოთ, ვინც ამ ხანგძლივი დროის მანძილზე ტელეეკრანიდან ჩვენთან ურთიერთობას ამყარებდა.

მათ სახელებით მოვიხსენიებთ ხოლმე იმ სიახლოვის გამო, რომელიც უნებლიედ ჩნდება ჩვენს ოჯახში მათი ყოველდღიური სტუმრობის გამო.

მე მხოლოდ ახლა მივაქციე საგანგებო ყურადღება იმას, რომ საქართველოს ტელევიზიამ კიდევ ერთხელ -დაადასტურა ჩვენში ქალის კულტის ტრადიციული სიმყარე, რამეთუ ტელედიქტორის მძიმე, პასუხსაგებ და საპატიო პროფესიას პირველი სწორედ ქალები შეეჭიდნენ.

33 წლის გადასახედიდან

ჟანეტა არჩვაძეს ისეთივე გაუკვალავი გზით მოუხდა სიარული, როგორც მის კოლეგებს, ეს ვითარება კი პროფესიული დოსტატებისათვის საკუთარი არჩევანის გაკეთების ფართე ასპარეზს იძლეოდა. ყველაფერი გამოჩნდა ამ გზაზე: მტკიცე ხასიათი, შეუპოვარი ბუნება, დროის აღრო, ფაქიზი დამოკიდებულება ქართული სიტყვისადმი, დახვეწილი გემოვნება, მაყურებლის პატივისცემა, რაც იმთავითვე არ დარჩენილა შეუმჩნეველი.

მოგეხსენებათ, მაყურებელი საკმაოდ მომთხოვნია, მაგრამ მადლიერებასაც უშურველად გამოხატავს.

უთუოდ ამ მადლიერების გრძნობას უნდა მივაწეროთ, რომ ჟანეტა არჩვაძეს ისეთივე ფანტასტიკურ ბედნიერებასა და ბედნიერ ბედს ეხატავენ, ეს ეხებიან ეროვნულ ფერებითაა შემოსაზღვრული და სწორედ ეს ანიშნებს მას თავისთავადობას. მისი სალებავები ყოველთვის ზუსტად არის მოძებნილი, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ასაკობრივად განსხვავებულ აუდიტორიასთან ურთიერთობისას. საინფორმაციო პროგრამა „მოამბის" წამყვანი ჟანეტა არჩვაძე აკადემიზმით გამორჩეული დიქტორია, „ძილისპირულს" კი, უკვე მსახიობი ჟანეტა არჩვაძე უძღვება და მიმართავს — „დეიდა ჟანეტა", იგი შუნებრივად იხდეს.

ბუნებრივი მომხიბვლელობის შენარჩუნებას ეკარნზე უთუოდ ყველაზე დიდი ნიჭი სჭირდება. სატელევიზიო კამერის დაუნდობელი თვალი აიძულებს ტელედიქტორს კადრს მიღმა დატოვოს საკუთარი განცდები, გადასაჭრელი საოჯახო პრობლემები. მაყურებლის ეგოიზმი, რომელიც ქვეშეცნეულად იბადება, არავითარ კომპრომისს არ უშვებს, ამიტომ დიქტორი და მაყურებელი გაუცნობიერებელ ზეგავლენას ახდენენ ურთიერთზე. ერთი — სტუმარია, მეორე — მასპინძელი, მაგრამ ისეთი, რომელიც საკუთარი გემოვნების ტყვეა და ადვილად არავის დაუთმობს ამ ტყვეობას, ჟანეტა არჩვაძეს შეძლო გემოვნებათა ჭიდილის ამ ძნელ ლაბირინთში გაეღწია და საკუთარი გზა ეპოვნა, გაეხსნა ტელეეკრანიდან ნათქვამი სიტყვის შინაგანი საიდუმლოება, მიეგნო მაყურებლისათვის სასურველი ტონალობისათვის და ბოლოს, რაც მთავარია, მოეპოვებინა უმთავრესი — სახალხო აღიარება.

როგორადაც ძნელი და წინააღმდეგობებით გაჯერებული არ უნდა იყოს წარსული დღეები, ჩვენ მხოლოდ იმას ვიმახსოვრებთ, რაც გვიყვარს.

შეუძლებელია, რომ ახლა უკვე „სათვალეებიან" ჟანეტა არჩვაძეს არ უყვარდეს ის ლაღად მომღიმარი ჟანეტა, რომელსაც ვინ მოთვლის, რამდენი სიძნელე გადახდომია თავს, მაგრამ ყველაფერი ადვილი დასაძლევი აღმოჩენილა, რადგან, როგორც იტყვიან, როცა შინ მშვიდობა გაქვს, გარეთ ვერაფერი მოგერევა.

პირველი მრჩეველი და კრიტიკოსი ჟანეტას თავისი მეუღლის — საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებლის, ჟურნალისტ შოთა არჩვაძის სახით ჰყავს და ახლა ასკვნის, რომ მიუხედავად მკაცრი განსჯისა, ბატონი შოთა ყოველთვის ზუსტად აფასებდა მის შეცდომებსაც და წარმატებებსაც. ახლა კი, ორივენი, ვაჟიშვილის, „ეხსა „ექსპერტები" არიან.

როცა ეთერში საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა „ნაშუადღევს" ან „მოამბე", რომელსაც ახალგაზრდა ჟურნალისტი კახა არჩვაძე უძღვება, ყველაზე თავშეკავებით უფროსი ძმა, ვასიკო სჯის, რადგან, როგორც ექიმმა მშვენივრად იცის, რომ ზედმეტი არაფერი არ ვარგა, მითუმეტეს — ემოცია. ეს ისე, ხუმრობით, რადგან გარემო, რომელშიც ჟანეტა არჩვაძე ცხოვრობს და მოღვაწეობს, შესაფერი კეთილგანწყობითაა სავსე, რაც ლოგიკური გაგრძელებაა ყოველივესი. სასიხარულოა, რომ საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჟანეტა არჩვაძე წარედგინა საქართველოს სახალხო არტისტის სპატიო წოდებაზე.

მარიკა ბაძრაძე.
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.



ხორნაბუჯი. თამაზ ქიქავას ფოტო.

ა'რივიდერჩი იტალია!..

გათამაშების მეორე ეტაპიდან მოყოლებული, ჩემპიონატს ორ-ორი იმედგაცრუებული გუნდი სტოვებს ყოველდღე. ა' რივიდერჩი იტალია! — პოპულარული სიმღერის ამ სიტყვებმა, კარგა ხანია, სევდიანი ელერადობა მიიღო. იტალიიდან წასვლა, თანაც ასე უსახელოდ, ცხადია, არავის სიამოვნებს. არადა, გუშინდელი ოცდაოთხი მონაწილიდან, სატურნირო ბრძოლას მხოლოდ ათი ბედნიერი გუნდი შემორჩა (გუშინ, გუდა-ნაბადის აკვრა კიდევ ორ გუნდს მოუწევდა).

მიზეზთა და მიზეზთა გამო, ყველაზე უსამართლოდ მესამე ჯგუფი დაცარიელდა (ბრაზილია, კოსტა-რიკა, შოტლანდია და შვეიცია). მეოთხედფინალების თუნდაც ერთი საგზური არავის ღირსება ამ კვარტალიდან. სწორია ეს? საბედნიეროდ სხვა ჯგუფებში პროპორცია მეტ-ნაკლებად ზუსტადაა დაცული.

მესამე ჯგუფის ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით გახშირდა ერთი მოარული შეკითხვა: რამდენად სამართლიანია და უფლებამოსილი კენჭისყრის ის სისტემა (თუნდაც მომავლისათვის), რომელიც მერვედფინალისტებს ასე განურჩევლად აწყვლებს? ამ, თავისთავად სტიქიურად წამოჭრილმა, დავამ უკვე მწვავე დისკუსიის სახე მიიღო.

კრიტიკის მთავარი ობიექტი, ბუნებრივია, ფიფა-ს გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი გახლავთ. ყველა ისარი მისკენაა მიმართული, მაგრამ მას, როგორც სისტემის ავტორსა და სულისჩამდგმელს, თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ მყარი პოზიცია უკავია და შეტევასაც ღირსეულად იგერიებს. ჯერჯერობით მაინც. ჰოლანდიისა და ბრაზილიის გუნდებზე კი მზამზარეული პასუხი აქვს. მისი აზრით, ჰოლანდიელებმა თავდვე გამოიჭრეს ყელი, როცა უფერულად ჩაატარეს მთელი ჯგუფური ტურნირი, ვერცერთი შეხვედრა ვერ მოიგეს და საქმე კენჭისყრამდე მიიყვანეს. ყველა სხვა შემთხვევაში დასავლეთ გერმანელებთან შეხვედრა მათ ასე ადრე არ მოუწევდათ. არგენტინაც და ბრაზილიაც მხოლოდ იმიტომ დაწყვლდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონმა ჯგუფური ტურნირი ერთობ უფერულად ჩაატარა და მესამე ადგილი დაიკავა. გენერალური მდივანი იქნებ არც ცდება, როცა ასეთი არგუმენტები მოჰყავს, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ჩემპიონატის მასპინძელი და ერთ-ერთი მთავარი ფავორიტი ამ მოვლენებს მიღმა დგას და გზას უმფოთველად მიიკვლევს ფინალისკენ? თუმცა... მასპინძელთა მიმართ ასეთ პრეტენზიებს მუდამ გამოთქვამდნენ და, არც ეს ჩემპიონატია გამონაკლისი. აქ მოულოდნელი არაფერია.

გუშინწინ გენუამ და რომმა კიდევ ორ მეოთხედფინალურ წყვილს უმასპინძლეს. გენუაში დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები — ირლანდია და რუმინეთი თამაშობდნენ. მეტოქეებს რა თქმა უნდა, ჰქონდათ მეოთხედფინალში გასვლის ბუნებრივი სურვილი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ წარუდგინა მეორეს რამდენადმე ფასეული თამასუქი.

რუმინელებს ამჯერად არ ჰყავდათ ლეკეტუში — საუკეთესო ბომბარდირი, რომელიც ორი ყვითელი ბარათით დამსახურებულ სასჯელს იხდიდა. ამის გამო კი მეორე ლიდერის — ჰაჯის თამაშმა სიმწვავე და მიზანდასახულობა დაჰკარგა. ირლანდიელები თავს ორგანიზებულად იცავდნენ და ამ მხრივ რამდენადმე სერიოზული შეცდომა არ დაუშვიათ. მაგრამ არც თავდასხმელებს შეუწახებიათ მაინცდამაინც რუმინელთა მეკარე ლუნგი. ერთი სიტყვით, მატჩისთვის განკუთვნილი 90 წუთი და კიდევ ორი დამატებითი ტაიმი შედარებით მშვიდად ჩატარდა.

მერე კი... პირველად ამ ჩემპიონატში, პენალტების სერია დაინიშნა და სტადიონიც მყისვე გამოცოცხლდა საინტერესო სანახაობის მოლოდინში. აი, როგორია ამ საბედისწერო თერთმეტმეტრიანთა შესრულების თანამიმდევრობა. ჰაჯი (რუმინეთი) — 1:0, შიდი (ირლანდია) — 1:1, ლუპუ (რუმინეთი) — 2:1, ჰოუგტონი (ირლანდია) — 2:2, როტა-რიუ (რუმინეთი) — 3:2, ტაუნსენდი (ირლანდია) — 3:3, ლუპესკუ (რუმინეთი) — 4:3, „ასკარონ (ირლანდია) — 4:4; აი, სწორედ აქ გაუჩნდა ბზარი პენალტების მწყობრ თანმიმდევრობას. არადა, ორი ზუსტი დარტყმის შემდეგ სერია თავიდან დაიწყებოდა სხვა შემსრულებლების მონაწილეობით, და მაშასადამე, გუნდა-განწყობილებაც სხვაგვარი იქნებოდა. მაგრამ... რუმინელი ტიმოფტის დარტყმა მეკარე ბონერმა ადვილად მოიგერია, ირლანდიელმა ო ლირიმ კი ხელიდან არ გაუშვა თავისი შანსი და გუნდს ნანატრი გამარჯვება მოუტანა — 5:4.

იტალია-ურუგვაის მეოთხედფინალური მატჩის პირველი ტაიმი და ოცი მომდევნო წუთიც იმდენად უფერული გახლდათ, ხელიროვნად ვერც ერთი მომენტის გახსენება ვერ შევძელი. ცოტა გაუგებარი იყო მწვრთნელის — ანელიო ვიჩინის ჯიუტობა, რომელმაც ამ კრიტიკულ მომენტშიც კი ვერ გადაწყვეტა მოედანზე ვიაელის შემოყვანა. იქნებ, მწვრთნელს ჰქონდა კიდევ საამისოდ რაღაც მიზეზი, ანდა გუშანით გრძნობდა ქვანძის გახსნის მოახლოებას?..

ასე იყო თუ ისე, მაინც მოხდა ის, რასაც მთელი სტადიონი გულისფანცქალით ელოდა. სკილაჩი ის ფეხბურთელია, რომელსაც არაფრიდან ძალუძს საგოლე მომენტის შექმნა. დიახ, 65-ე წუთზე თითქოსდა არაფერი ემექრებოდა ურუგვაელთა კარს, მაგრამ სკილაჩიმ მაინც შეასრულა ულამაზესი და უძლიერესი დარტყმა, რამაც ერთ წამში გადაწყვეტა ბრძოლის ბედი. სერენას მიერ 83-ე წუთზე გატანილი მეორე გოლი მხოლოდ პირველის ლოგიკური გაგრძელება იყო.

რუმინეთისა და ურუგვაის გარდა, გუშინ, ბრძოლას ესპანეთის ნაკრებიც გამოაკლდა.

ბურამ ნადარაია.

ჩოგბურთი

მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ, უიმბლდონის ტურნირის, სტარტზე პირველმა ჩოგანმა — ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა დაამარცხა არგენტინელი კრისტიანა მინიუსი — 3:6, 6:4, 6:4, უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულმა ავსტრალიელმა პატრიკ კეშმა საკმაოდ რთულ ბრძოლაში დაამარცხა ხარკოველი დიმიტრი პოლიაკოვი — 4:6, 7:6, (7:1), 5:7, 6:4, 6:1. ჩოგბურთის საჰკთა გულშემატკივრები გაახარა კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა, რომელმაც „დამაჯერებლად სძლია ცნობილ იუგოსლავ სპორტსმენს — სლობოდან �ოიოვიჩს — 6:7, 7:6, 7:6, 6:1. უფელი ანდრეი ჩერკასოვი კი ახგარიშით — 3:6, 4:6, 2:6 — დამარცხდა ავსტრალიელ ეოლი მაზურთან.

სახელმწიფო სტატუსი მიენიჭათ

მდიდარი თეატრალური ტრადიციები აქვს სენაკის რაიონს. დღემდე აქ ნაყოფიერად მოღვაწეობდა საუკუნოვანი სახალხო თეატრი, რომლის შემოქმედები წარმატებებს შუდმ ინტერესით ხვდებოდა როგორც ადგილობრივი, ასევე მეზობელი რაიონების მაყურებელი. ამიერიდან იგი სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრად იწოდება, იქმნება სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლიც.

ორივე ფაქტი უაღრესად მნიშვნელოვანია რაიონის კულტურული ცხოვრების, ალმავლობისათვის. ახლა რაიონში მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. გამოცხადდა კონკურსი თეატრის მომავალ მსახიობთა, ანსამბლის მომღერალთა და მოცეკვავეთა შერჩევის მიზნით.

კუკური ესაკია.
„კომუნისტის" საკ. კორ.

ვართან დარახჩიევი

რესპუბლიკის პარტიის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო წარმომადგენელი, გულისხმიერი ადამიანი, ვართან ავეტისის ძე დარახჩიევი.

დაიბადა 1906 წელს ქ. თბილისში. სკკპ წევრი 1924 წლიდან 20-იან წლებიდან 30 წლების დასასრულამდე იგი კომკავშირულ სამუშაოზე იმყოფებოდა. შემდგომ პერიოდში კი პარტიულ სამუშაოზე მუშაობდა ახალქალაქში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მაუდის ფაბრიკაში.

1932 წელს არჩეული იქნა საქართველოს კომპარტიის ბოგდანოვკის რაიკომის პირველ მდივნად, შემდეგ — ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივნად, 40-იან წლებიდან რკინიგზის ორგანიზაციებში სამეურნეო სამუშაოზე.

3. დარახჩიევს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება, დაჯილდოვებული იყო სამკერდე ნიშნებით — „საპატიო რკინიგზელს", „50 წელი პარტიის რიგებში", იყო საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი. წლების განმავლობაში 3. დარახჩიევი მონდომებით უძღვებოდა ქ. თბილისის ლენინის რაიონის პარტიის ვეტერანთა საბჭოს საქმიანობას.

3. დარახჩიევის სახელი იცოცხლებს მისი მეგობრებისა და თანამებრძოლების ხსოვნაში.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ლენინის რაიკომი.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 29 ივნისს.

რედაქტორი
მინდია უგრეხელიძე.

ჩაიკოვსკის კონკურსი ზენიტშია

ასეთი წარმომადგენლობითი არსებობის მანძილზე არასოდეს ყოფილა პ. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი. მსოფლიოს 51 ქვეყნის ზუთასამდე მონაწილემ მოიყარა თავი ამ შემოქმედებით დათვალიერებაზე, რომელიც წლეულს დიდი კომპოზიტორის დაბადების 150 წლისთავს ეძღვნება, .ეს წელი ხომ იუნესკოს მიერ ჩაიკოვსკის საიუბილეო წლად არის გამოცხადებული. მუსიკოსთა ყველაზე დიდ ჯგუფები ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იაპონიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, კორეის სახალხო რესპუბლიკიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. ეიერის შემადგენლობაში შედიან მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსები, რომელთა შორის ბევრნი არიან ისეთებიც, რომლებსაც წინა კონკურსებზე აქვთ პრიზები მოპოვებული. აღსანიშნავია, რომ მეკონკურსის ეიერის შემადგენლობაში მიწვეულია თბილისის კონსერვატორიის პროფესორი ირაკლი ბერიძე.

უკვე ორი კვირაა მოსკოვის საუკეთესო — სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ და მცირე, აგრეთვე ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზებში ეღერს საკონკურსო მუსიკა. დათვალიერებაში პირველად ჩაებნენ პიანისტები და მევიოლინეები, შემდეგ ვიოლონჩელისტები და ვოკალისტები.

წლევანდელი დათვალიერება სიახლეებითაც გამოირჩევა. საჯაროდ აცხადებენ, თუ რამდენი ქულაა აუცილებელი იმისთვის, რომ მონაწილემ განაგრძოს პაექრობა, — ადრე კი ამას ეიერი საიდუმლოდ ინახავდა. ცვლილებია პროგრამებშიც.

ახლა კონკურსი ზენიტშია. მთავრდება პიანისტებისა და მევიოლინეთა მეორე ტურის მოსმენა. ორიოდე დღეა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში პაექრობა დაიწყეს ვოკალისტებმა.

მუსიკალური ტურნირი დასრულდება 7 ივლისს საზეიმო ცერემონიალით და ტრადიციულად იმ მუსიკოსთა კონცერტით, რომლებსაც „სამსჯავრო" კოლეგიალ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებად ცნობს.

(„კომუნისტის" კორ.).

... ვისაც მეორე სპეციალობის მიღება სურს

უმაღლესი განათლება თუ გაქვთ და გსურთ თანამედროვე ეკონომისტის დიპლომი მიიღოთ, გთავაზობთ სწავლა განაგრძოთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სპეციალურ ტეტის ბიზნესის უმაღლეს სკოლაში,** სადაც ცხადდება მიღება 1990-1991 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: საგარეო ეკონომიკური კავშირების ორგანიზაცია და დაგეგმვა; მარკეტინგი; ვაჭრობის მართვის ორგანიზაცია და თანამედროვე კომერციული საქმიანობა; ტურიზმის, საკურორტო და სასტუმრო მეურნეობის ეკონომიკა; ეკონომიკა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება; წარმოების მართვის ორგანიზაცია; შენებლობის ეკონომიკა და მართვა; დემოგრაფია.

ბიზნესის უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესს წარმართავენ უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორ-მასწავლებლები, რესპუბლიკის იმ უწყებათა ხელმძღვანელები, რომელთაც სათანადო გამოცდილებასთან ერთად, სამსახურებრივი კონტაქტები აქვთ საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობასთან და საერთაშორისო ბიზნესთან. ამასთან, ბიზნესის უმაღლეს სკოლას დაღებული აქვს ხელშეკრულება და პერიოდულად იწვევს საბჭოთა კავშირის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, აგრეთვე ცნობილ საზღვარგარეთელ ბიზნესმენებს.

ბიზნესის უმაღლესი სკოლის მსმენელები შეისწავლიან თანამედროვე მმართველი ხელმძღვანელის ანუ მენეჯერისათვის აუცილებელ საგნებს: მენეჯმენტს, მარკეტინგს, საფინანსო-სავალუტო ოპერაციებს, ერთობლივ საწარმოთა ორგანიზაციისა და მართვის საფუძვლებს; მართვის იურიდიულ და ფსიქოლოგიურ ასპექტებსა და საბაზრო ეკონომიკის ორგანიზაციისათვის საჭირო სხვა აუცილებელ საკითხებს.

სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კომერციული უცხო ენის დაუფლებას. სასწავლო პროცესს პარალელურად, მსმენელები ინტენსიურად შეისწავლიან პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობას და თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებს.

ფაკულტეტი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა და ყოველი სპეციალისტის მომზადება ჯდება ოთხი ათასი მანეთი.

საგარეო ეკონომიკური კავშირების ორგანიზაციის, დაგეგმვისა და მარკეტინგის სპეციალობებზე შემსვლელთა საუურადღებოდ!

აღნიშნულ სპეციალობებზე ჩაირიცხებიან მხოლოდ ის მსმენელები, რომელთა სწავლების საფასური (4 ათასი მანეთი) სანახევროდ სპბჭოთა ფულით, ნახევრიც კონვერტირებული ვალუტით (ჩვეულებრივი კურსით) იქნება გადახდილი.

საბუთების მიღებას ვადა 1990 წლის 25 სექტემბრამდეა, მსმენელებთან გასაუბრება მოეწყობა 26-27 სექტემბერს, ჩარიცხვა — 29 სექტემბერს, მეცადინეობა კი 1 ოქტომბერს იწყება.

აქვე გაცნობებთ, რომ რუსთაველის გიმნასია სპეციფაკულტეტის — ბიზნესის უმაღლესი სკოლის ფილიალი, რომელიც აცხადებს მსმენელთა მიღებას 1990-1991 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოების მართვის ორგანიზაცია; ვაჭრობის მართვის ორგანიზაცია და თანამედროვე კომერციული საქმიანობა.

საბუთების მიღება 1990 წლის 25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე გრძელდება; მსმენელებთან გასაუბრება მოეწყობა 25-26 სექტემბერს, ჩარიცხვა — 28 სექტემბერს; მეცადინეობა აქაც 1 ოქტომბერს იწყება.

ბიზნესის უმაღლეს სკოლაში და მის რუსთაველ ფილიალში მოვლინებულმა პირებმა განცხადებას თან უნდა დაურთონ მომართვა დაწესებულებიდან (სწავლების თანხის გადახდის გარანტიით), კადრების აღრიცხვის ბარათი, დიპლომის ასლი, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან და 6 ფოტოსურათი (3X4-ზე).

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, 380043, უნივერსიტეტის ქ. № 2. ოთახი 1103, სპეციფაკულტეტი — ბიზნესის უმაღლესი სკოლა. ტელეფონი — 31-01-07. რუსთაველის ფილიალი: 383040, ბალანჩივაძის ქუჩა; ტელეფონები: 14-32-13, 12-50-97.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციფაკულტეტი — ბიზნესის უმაღლესი სკოლა.

ტელევიზია—ოთხშაბათი, 27 ივნისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 12.00 — მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „მთელ ქვეყანას — საიდუმლოდ". II სერია (ქართულ ენაზე). 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიზმი. 15.45 — საინფორმაციო გამოშვება. 15.55 მათემატიკის ტელეკურსი. 16.25 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 16.45 — შვეისწავლეთა გერმან